



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

„ეკონომიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი 29-30 სექტემბერი

დასკვნის პროექტის წარდგენის თარიღი

25 ნოემბერი 2021

თბილისი 2021

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204864548
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ეკონომიკა Economics
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	ეკონომიკის მაგისტრი Master of Economics
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0311 ეკონომიკა Economics
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120 ECTS
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #16; 16.09.2011

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

¹ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

²უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთადერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკა გეგეშიძე/შპს საქართველოს უნივერსიტეტი/საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მაია ბარამიძე/შპს კავკასიის უნივერსიტეტი/საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნიკოლოზ ყაველაშვილი/სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი/საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამთა ცხოვრებაძე/შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ თავხელიძე/შპს გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი/საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა

- ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამამ 2011 წელს გაიარა აკრედიტაცია, პროგრამა ამჟამად ხელახლა წარდგენილია აკრედიტაციაზე.

სამაგისტრო პროგრამას ხელმძღვანელობს მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი, რომლებსაც აქვთ სწავლებისა და კვლევის დიდი გამოცდილება, კერძოდ, პროგრამას უძღვებიან სასწავლო და სამეცნიერო სფეროში აღიარებული მაღალკვალიფიციური პერსონალი .

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ეკონომიკა“ მოიცავს 120 კრედიტს, რომელიც შემდეგნაირად ნაწილდება: პროგრამის სავალდებულო კურსები - 20 კრედიტი; პროგრამის არჩევითი კურსები - 10 კრედიტი; პროფესიული პრაქტიკა (სავალდებულო) - 5 კრედიტი; სამაგისტრო ნაშრომი (სავალდებულო) - 25 კრედიტი; არჩევითი კონცენტრაცია - 60 კრედიტი (მ.შ. კონცენტრაციის სავალდებულო 50 კრედიტი, კონცენტრაციის არჩევითი 10 კრედიტი).

ბოლო აკრედიტაციის შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამაში შევიდა მთელი რიგი ცვლილებები:

1. შეიცვალა პროგრამის ხელმძღვანელობა და ერთი ხელმძღვანელის ნაცვლად პროგრამას ჰყავს რამდენიმე ხელმძღვანელი: აკად., პროფ. ა. სილაგაძე, პროფ. ი. ანანიაშვილი, პროფ. თ. ბერიძე, პროფ. ს. გელაშვილი, პროფ. რ. გველესიანი, პროფ. ე. მექვაბიშვილი, პროფ. გ. ლაღანიძე, პროფ. ე. ხარაიშვილი (პროგრამის კოორდინატორი), ასოც. პროფ. ნ. კაკულია.

2. პროგრამის სწავლის შედეგები გადამუშავდა და 6 შედეგის ნაცვლად ჩამოყალიბდა სამ ჯგუფად კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიხედვით;

3. გადამუშავდა და განახლდა პროგრამის ყველა სასწავლო კურსის სილაბუსი (მათ შორის, სასწავლო კურსების მიზნები და შედეგები, დაშვების წინაპირობები, სწავლა-სწავლების მეთოდები, შეფასების სისტემა, ძირითადი და დამატებითი სასწავლო ლიტერატურა), ცალკეულ შემთხვევაში შეიცვალა სასწავლო კურსის ავტორი/ავტორები და ლექტორი/ლექტორები, ასევე, სტატუსი (სავალდებულო/არჩევითი) და კრედიტების მოცულობა (5/10 კრედიტი);

4. პროგრამას დაემატა ახალი არჩევითი კონცენტრაციები: ეკონომიკური თეორია, ციფრული ეკონომიკა, საერთაშორისო ფინანსები, ეკონომიკისა და ეკონომიკური აზრის ისტორია, ეკონომიკური და ბიზნესის სტატისტიკა, სოციალური და დემოგრაფიული სტატისტიკა;

5. პროგრამიდან ამოღებულია ერთი არჩევითი კონცენტრაცია: ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკა;

6. პროგრამას დაემატა ახალი სასწავლო კურსები, კერძოდ: კვლევის მეთოდები ეკონომიკაში (სავალდებულო, 5 კრედიტი); აკადემიური წერა (არჩევითი, 5 კრედიტი);

7. პროგრამის სამი სავალდებულო სასწავლო კურსი გახდა არჩევითი: ეკონომეტრიკა II, ეკონომიკური პოლიტიკა II, სტატისტიკური ანალიზის მეთოდები;

8. განხორციელდა რიგი ცვლილებები არჩევითი კონცენტრაციების სტრუქტურაში, გადამუშავდა და განახლდა პროგრამის ყველა სასწავლო კურსის სილაბუსი (მათ შორის, სასწავლო კურსების მიზნები და შედეგები, დაშვების წინაპირობები, სწავლა-სწავლების მეთოდები, შეფასების სისტემა, ძირითადი და დამატებითი სასწავლო ლიტერატურა), ცალკეულ შემთხვევაში შეიცვალა სასწავლო კურსის ავტორი/ავტორები და ლექტორი/ლექტორები.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

- 2021 წლის 29-30 სექტემბერს აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ეკონომიკის და ბიზნეს ფაკულტეტის ეკონომიკის სადოქტორო, სამაგისტრო და საბაკალავრო საფეხურის, ეკონომიკის პროგრამების აკრედიტაციის მიზნით, Zoom.us პროგრამული უზრუნველყოფით.
- ექსპერტთა ჯგუფის წინასწარი შეკრება განხორციელდა 17 სექტემბერს 14:00.-დან 16:00 საათამდე და 27 სექტემბერს 19:00-დან 21:00 საათამდე, Zoom.us პროგრამული უზრუნველყოფით. პირველ შეხვედრაზე მოხდა წარმოდგენელი დოკუმენტაციისა, პროგრამისა და თვითშეფასების ანგარიშების განხილვა. დაიგეგმა დასკვნებისა მომზადების სტრატეგია, გადანაწილდა სტანდარტები და ქვესტანდარტი ჯგუფის

წევრებს შორის. მეორე შეხვედრაზე ცენტრის მიერ მოწოდებული დღის განრიგისა და დასკვნის ფორმის მიხედვით განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა აკრედიტაციის ვიზიტისას, სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს პროცესში, პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

- 29 და 30 სექტემბერს დაწესებულებაში ვიზიტი შეთანხმებული პროცედურებით წარიმართა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. შეხვედრა/გასაუბრება შედგა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან. ასევე ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, სააუდიტორიო ოთახები, ლაბორატორიები, კაბინეტები და ა.შ) ონლაინ დათვალიერება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფი უზრუნველყოფილი იყო კარგი სამუშაო გარემოთი და მათ საშუალება ჰქონდათ ობიექტურად შეეფასებინათ პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

- წარმოდგენილი პროგრამა სრულად აკმაყოფილებს სტანდარტებს.
- 2.6 სტანდარტი მეტწილად არის მოთხოვნებთან შესაბამისობაში ხოლო დანარჩენი სრულად შესაბამისობაშია.

- **რეკომენდაციები**

- ✓ გამომდინარე იქედან, რომ კვლევითი პროექტი არის სასწავლო კურსი, უნდა შეიცვალოს მისი შეფასების სისტემა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის #3 ბრძანების (ბრძანება #3, 2007 წლის 5 იანვარი)

შესაბამისად და ნაცვლად ერთჯერადი შეფასებისა უნდა შეფასდეს მრავალჯერადად.

- ✓ სამაგისტრო ნაშრომის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით არსებითად უნდა შეცვალოს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები, მასში გარდა ფორმალური და შინაარსობრივი მხარის და პრეზენტაციის კომპონენტისა, წარმოდგენილი უნდა იყოს კვლევის მეთოდოლოგიის რელევანტურობისა და მეცნიერული სიახლის შეფასების კრიტერიუმები.

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ✓ კარგი იქნება, რომ წარმოდგენილი იყოს, თუ რა წვლილი შეაქვს პროგრამას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში თუმცა ეს საკითხი კარგად ჩანს პროგრამის შედეგებში.
- ✓ სასურველია სისტემატურად ხდებოდეს სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის განახლება, რათა იგი ასახავდეს დარგის თანამედროვე მიღწევებს და მოიცავდეს უახლეს კვლევებს ამ სფეროში.
- ✓ სასურველია რეგულარულად ხდებოდეს სასწავლო კურსების გადახედვა/ოპტიმიზაცია სამაგისტრო პროგრამის მიზნებთან და სწავლის შედეგებთან მათი სრული შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.
- ✓ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობის სრულად წარმოსაჩენად უმჯობესია კურიკულუმის რუკას დაემატოს სასწავლო კურსები არჩევითი საგნების კომპონენტიდან.
- ✓ სასურველია, პროგრამაში გაიმიჯნოს სწავლა-სწავლების მეთოდები და აქტივობები.
- ✓ სასურველია ფაკულტეტმა შეიძინოს მაღალი კონფიგურაციის კომპიუტერული ტექნიკა, რომლებსაც ექნება დიდ მონაცემთა ბაზების დამუშავების ტექნიკური პარამეტრები.

▪ საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა(ასეთის არსებობის შემთხვევაში)

უსდ-მ გამოაგზავნა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტთან მიმართებაში, სადაც გამოთქმულ მოსაზრებების ნაწილი გაიზიარა და ასევე მოგვაწოდა მტკიცებულებები ზემოთ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით. თუმცა ექპერტთა ჯგუფმა არ შეტანა ცვლილებები დასკვნის პროექტში.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამა, რომელიც აკრედიტირებული იყო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს #16; 16.09.2011 გადაწყვეტილებით, წარმოდგენილია ხელახალი აკრედიტაციისთვის. მისი მიზანია: ეკონომიკის დარგში უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული მრავალმხრივი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების, სამეცნიერო კვლევისა და შემოქმედებითი უნარის მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება.

ასევე მიზანში მოცემულია, რომ საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი კონცენტრაცია უზრუნველყოფს ეკონომიკის შესაბამის სფეროში ცოდნისა და პრაქტიკული უნარების გაღრმავებას და/ან გაფართოებას. პროგრამის მიზნები ასახავს ცოდნის, უნარების და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულების მომზადებას. კარგი იქნება, რომ წარმოდგენილი იყოს, თუ რა წვლილი შეაქვს პროგრამას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში თუმცა ეს საკითხი კარგად ჩანს პროგრამის შედეგებში. პროგრამა შესაბამისობაშია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიასთან (https://old.tsu.ge/ge/about/mission_statement/), რომელიც მოიცავს: ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრებისა და საზოგადოების ინტელექტუალური, ზნეობრივი, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას; ახალი ცოდნის შექმნას, შენახვა და გავრცელებას; კვლევებითა და ინოვაციებით საუნივერსიტეტო ტრადიციების განვითარებას; სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებასა და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებასა და სხვას.

მიზანში ასახულია უსდ-ს სტრატეგიული პრიორიტეტთან თანხვედრა, რომელთა შორისაა სტრატეგიული მიმართულებებში: „სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური საქმიანობა“ და „საგანმანათლებლო საქმიანობა“.

პროგრამაში ცვლილებები განხორციელდა შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, რომელიც დაფუძნებული იყო პროგრამის ანალიზის, კურსდამთავრებულთა კვლევისა და ეკონომიკის დარგში საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევების ანალიზის საფუძველზე. აქედან გამომდინარე პროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს, ასევე, მეცნიერების/დარგის, სახელმწიფოს ან/და საზოგადოების განვითარების მოთხოვნებს.

პროგრამა არის მასში ჩართულ წევრების მიერ გაზიარებული, იცნობენ სიღრმისეულად და მუდმივად ზრუნავენ მის განვითარებაზე. პროგრამის მიზნები რელევანტურია ეკონომიკის დარგში მეცნიერის და მაღალკვალიფიციური სპეციალისტის ჩამოსაყალიბებლად და მიღწევადია, მიზანი ნათლად არის ჩამოყალიბებული.

პროგრამის მოქმედი ვარიანტი განთავსებულია ვებ-გვერდზე და საჯაროდ ხელმისაწვდომია, ხოლო განახლებული ვარიანტი განთავსდება რეაქტივობის გავლის შემდეგ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ პროგრამა და პროგრამის სილაბუსები;
- ✓ ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ✓ უნივერსიტეტის მისია https://old.tsu.ge/ge/about/mission_statement/;
- ✓ სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა (2018-2024);
- ✓ ეკონომიკის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის სხდომებზე პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებების განხილვის ოქმები;
- ✓ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნის ანალიზის ანგარიში;
- ✓ თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულება <https://tsu.ge/assets/media/files/7/debuleba.pdf> ;
- ✓ აკადემიური/სამეცნიერო/ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები;
- ✓ თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულება <https://tsu.ge/assets/media/files/7/debuleba.pdf>;

<ul style="list-style-type: none"> ✓ აკადემიური/სამეცნიერო/ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები; ✓ ინტერვიუს შედეგები, კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან.
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> ○ კარგი იქნება, რომ წარმოდგენილი იყოს, თუ რა წვლილი შეაქვს პროგრამას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში, თუმცა ეს საკითხი კარგად ჩანს პროგრამის შედეგებში.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
<p>1.2 პროგრამის სწავლის შედეგები</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის შედეგები შესაბამისია პროგრამის მიზნებთან. ის მომზადებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანების N69/ნ 10.04.2019 „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“, შესაბამისად. პროგრამის შედეგებში ცალ-ცალკე გამოყოფილია ა) ცოდნა და გაცნობიერება, ბ) უნარი და გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა.

ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამას აქვს 11 კონცენტრაცია (მოდული), რომლებიცაა:

1. საერთაშორისო ფინანსები
2. ეკონომიკისა და ეკონომიკური აზრის ისტორია
3. საერთაშორისო ეკონომიკა
4. ეკონომეტრიკა და მათემატიკური ეკონომიკა
5. თეორიული ეკონომიკა
6. ეკონომიკური და ბიზნესის სტატისტიკა
7. სოციალური და დემოგრაფიული სტატისტიკა
8. ეკონომიკური პოლიტიკა და ეკონომიკური დიპლომატია
9. ციფრული ეკონომიკა
10. ბიზნესის ეკონომიკა
11. მაკრო ეკონომიკა

მათი შედეგები ცალკეა გამოტანილი. შესაბამისად პროგრამა არის კომპლექსური, ერთი შეხედვით რთულად აღსაქმელია, თუმცა პროგრამა საინტერესო და მრავალფეროვანია. შედეგები ლაკონურად და გასაგებად არის ჩამოყალიბებული, რომელიც შეესაბამება სწავლების მეშვიდე დონისადმი წაყენებულ მოთხოვნებს, ეკონომიკის მაგისტრის კვალიფიკაციისთვის.

პროგრამის აკრედიტაციისთვის წარმოდგენილი დოკუმენტებში არსებული ინფორმაციით დგინდება, რომ სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულების საფუძველზე გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდებით, აქტივობებით და შეფასების მეთოდებით, პროგრამის შედეგები არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური. პროგრამის საფუძველზე კურსდამთავრებული შეძლებს კვლევების განხორციელებას და პრაქტიკულ-პროფესიულ და აკადემიურ საქმიანობაში ჩართვას. პროგრამის თვითშეფასებაში ასევე წარმოდგენილია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა,

ძირითადი საგნების და კონცენტრაციების მიხედვით, რომელიც ნათლად ასახავს პროგრამის მიზნებისა და შედეგების კავშირს.

პროგრამის რეაქრედიტაციისთვის მომზადების პროცესში ჩართული იყო დაინტერესებული მხარეები, კურსდამთავრებულები, სტუდენტები, დამსაქმებლები, უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციული, აკადემიური, მოწვეული და დამხმარე პერსონალი.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია საქართველოში არსებული დარგის მოწინავე სპეციალისტები და ისინი უზრუნველყოფენ დაინტერესებული პირებისთვის სწავლის შედეგების გაცნობას. პროგრამის შემუშავების პროცესში ჩატარებული იქნა შრომის ბაზრის მოთხოვნების ანალიზი. შესწავლილი იქნა მსოფლიო საბაზრო ტენდენციები ეკონომიკის დარგში არსებული სპეციალისტების მიმართ.

პროგრამაში გათვალისწინებული კომპონენტებია ძირითად ნაწილში სამაგისტრო ნაშრომი, ხოლო კონცენტრაციებში კვლევითი პროექტი.

პროგრამას ახლავს პროგრამის შედეგების შესაბამისობის რუკა, სწავლების შედეგების შეფასების ანალიზი, ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე სწავლების შედეგების შესაფასებლად განსაზღვრული შესაბამისი სამიზნე ნიშნულები. ასევე წარმოდგენილია შედეგების სამიზნე ნიშნულებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა.

სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი შეფასების მეთოდები. კონკრეტულად პირდაპირი მეთოდი წარმოდგენილია სილაბუსებში არაპირდაპირი შეფასება ხორციელდება მაგისტრანტების, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებლების გამოკითხვით.

სასწავლო კურსების სილაბუსებში მოცემულია სწავლების/სწავლის ის კონკრეტული მეთოდი/მეთოდები, რომლებიც შეესაბამება აღნიშნული სასწავლო კურსის მიზნებს და მისაღწევ (დაგეგმილ) სწავლის შედეგებს. პროგრამა აგებულია, თანმიმდევრულად. შერჩეული სწავლების/სწავლის მეთოდით შესაძლებელია კონკრეტული სასწავლო კურსის მიზნის და შედეგის უზრუნველყოფა და მაგისტრანტისთვის ამა თუ იმ დარგობრივი და/ან ზოგადი (ტრანსფერული) კომპეტენციის გამომუშავება. პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს თითოეული სასწავლო კურსისთვის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები განსაზღვრული აქვს სილაბუსებში.

ინტერვიუების საფუძველზე დადასტურდა, რომ პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი დეტალურად იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს. ისინი იღებენ

ინტენსიურ მხარდაჭერას სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარებისთვის. სტუდენტები იღებენ უკუკავშირს, თუ რამდენად მიაღწიეს პროგრამის სწავლის შედეგებს. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საბოლოოდ განხილული დოკუმენტაციით, პროგრამით თვითშეფასების ანგარიშით ექსპერტთა ჯგუფის წევრების აკრედიტაციის ვიზიტის პერიოდში განხორციელებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამას განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, დარგის სპეციფიკისთვის დამახასიათებელი პერიოდულობით. სწავლის შედეგების შეფასების სისტემა და პერიოდულობა ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას, მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს, რომლებიც სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დადგენის საშუალებას იძლევა. ყოველივე იძლევა საფუძველს, რომ ვთქვათ პროგრამის სწავლის შედეგების ქვესტანდარტი სრულად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ პროგრამა და პროგრამის სილაბუსები;
- ✓ ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ✓ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება N69/ნ 10.04.2019 („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“);
- ✓ პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია;
- ✓ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი; აკადემიური/სამეცნიერო/ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები ;
- ✓ ეკონომიკის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდაჭერ კომიტეტის სხდომებზე პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებების განხილვის ოქმები;
- ✓ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნის ანალიზის დოკუმენტი;
- ✓ აკადემიური/სამეცნიერო/ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები;
- ✓ ინტერვიუს შედეგები, კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან.

<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p style="margin-left: 40px;"><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

<p>2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები</p>
<p>უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა:</p> <ul style="list-style-type: none"> • ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის აკადემიური ხარისხი; • ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა უნდა ჩააბაროს საერთო სამაგისტრო გამოცდა და სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები გამოცდა საგანში „ეკონომიკის პრინციპები“. ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები გამოცდის ჩატარების წესები განსაზღვრულია უნივერსიტეტის მიერ; • სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში დადგენილი წესით. <p>წარმოდგენილიდან გამომდინარე გამოიკვეთა, რომ სამაგისტრო პროგრამაზე მიიღება პირი რომელსაც არ აქვს ეკონომიკაში ბაკალავრის ხარისხი, თუმცა მისი ფილტრაცია ხდება „ეკონომიკის პრინციპებში“ გამოცდის ჩატარების საფუძველზე.</p> <p>პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საჯაროდაა ხელმისაწვდომი. ამასთანავე პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.</p> <p>წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ადგილზე ჩატარებული ინტერვიუები გვამღევეს საფუძველს, რომ დავასკვნათ ქვეკომპონენტი სრულად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ პროგრამა და პროგრამის სილაბუსები; ✓ ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ✓ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი; ✓ ინტერვიუს შედეგები, კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>

<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>2.საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი</p> <p>პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>თსუ ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამა, ისევე როგორც უსდ-ს ეკონომიკის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები სხვა საფეხურებზე (ბაკალავრიატი, დოქტორანტურა), შედგენილია 22/07/2019 დადგენილება №100/2019-ის თანახმად (სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა“, დანართი 1). პროგრამა შექმნილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად;</p> <p>ჩატარებული ინტერვიუების თანახმად საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობდნენ: პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული</p>

პერსონალი, ფაკულტეტისა და თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები, ასევე, პროგრამის სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის შესახებ ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია თსუ ვებ-გვერდის საშუალებით:

<https://tsu.ge/assets/media/files/7/saswavlo%20programebi/magistratura/mag.ec%2020-22.pdf>

პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობას წარმოადგენს ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება საგანში „ეკონომიკის პრინციპები“.

ეკონომიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს, შემდეგი განაწილებით:

პროგრამის სავალდებულო კურსები - 20 კრედიტი;

პროგრამის არჩევითი კურსები - 10 კრედიტი;

პროფესიული პრაქტიკა (სავალდებულო) - 5 კრედიტი;

სამაგისტრო ნაშრომი (სავალდებულო) - 25 კრედიტი;

არჩევითი კონცენტრაცია (სულ 11 კონცენტრაცია) - 60 კრედიტი (მ.შ. სავალდებულო 50 კრედიტი და არჩევითი 10 კრედიტი).

საგანმანათლებლო პროგრამის არსებობის მანძილზე (დამტკიცებულია თსუ აკადემიური საბჭოს 29 ივნისის 2011 წლის დადგენილებით №57, დანართი 80), მასში რიგი ცვლილებები განხორციელდა, მაგალითად: შეიცვალა პროგრამის ხელმძღვანელობა და ერთის ნაცვლად პროგრამას რამდენიმე ხელმძღვანელი ჰყავს; პროგრამის სწავლის შედეგები გადამუშავდა საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნების მიხედვით და სამ ჯგუფად ჩამოყალიბდა;

გადამუშავდა და განახლდა პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები (მათ შორის, სასწავლო კურსების მიზნები და შედეგები, დაშვების წინაპირობები, სწავლა-სწავლების მეთოდები, შეფასების სისტემა, ძირითადი და დამატებითი სასწავლო ლიტერატურა);

პროგრამას დაემატა ახალი არჩევითი კონცენტრაციები: ეკონომიკური თეორია, ციფრული ეკონომიკა, საერთაშორისო ფინანსები, ეკონომიკისა და ეკონომიკური აზრის ისტორია, ეკონომიკური და ბიზნესის სტატისტიკა, სოციალური და დემოგრაფიული სტატისტიკა; პროგრამიდან ამოღებულია ერთი არჩევითი კონცენტრაცია - ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკა; პროგრამას დაემატა ისეთი სასწავლო კურსები, როგორებიცაა: კვლევის მეთოდები ეკონომიკაში (სავალდებულო, 5 ECTS) და აკადემიური წერა (არჩევითი, 5 ECTS).

ეკონომიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის სავალდებულო/ არჩევითი საგნების და მრავალრიცხოვან კონცენტრაციათა კურსების სილაბუსების ანალიზი ცხადყოფს, რომ მათი შინაარსი, მოცულობა და

სტრუქტურა ძირითადად შესაბამისობაშია სწავლების მოცემულ საფეხურთან. პრაქტიკული და კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარების კუთხით, პროგრამა ითვალისწინებს როგორც სავალდებულო პროფესიულ პრაქტიკას და სამაგისტრო ნაშრომს, ისე კვლევითი პროექტის მომზადებას თითოეულ კონცენტრაციაში. სასურველია საგანმანათლებლო პროგრამა არჩევითი სასწავლო კურსების ნაწილში ითვალისწინებდეს დარგობრივ უცხო ენას, რაც მნიშვნელოვანია პროგრამის ინტერნაციონალიზაციის მეტად განვითარების და კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის ზრდის თვალსაზრისით.

პროგრამაში შემავალი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები თანმიმდევრულად არის დალაგებული; სასწავლო კურსებზე და სხვა კომპონენტებზე დაშვების წინაპირობები მთლიანობაში ლოგიკური და ადეკვატურია. პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტთა საჭიროებებს და ხელმძღვანელობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების დამტკიცებული წესებით.

პროგრამა სტრუქტურულად გამართულია და შეესაბამება სამაგისტრო საფეხურს და ეკონომიკის მაგისტრის მისანიჭებელ კვალიფიკაციას.

სასწავლო კომპონენტები თანმიმდევრულია და ლოგიკურია რომელსაც მოსდევს კვლევითი კომპონენტი, სამაგისტრო ნაშრომის სახით. რომლის შეკრულების მოთხოვნები გაწერილია სილაბუსით.

პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად.

უსდ-ს მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის შესწავლა და ჩატარებული ინტერვიუები საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ სასწავლო და კვლევითი კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას და შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ პროგრამა და პროგრამის სილაბუსები;
- ✓ სავალდებულო და არჩევითი კურსების სილაბუსები
- ✓ ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ✓ პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია <https://www.tsu.ge/icsp/legalakad/15843>
- ✓ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი:

<ul style="list-style-type: none"> ✓ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი; აკადემიური/სამეცნიერო/ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები ; ✓ ეკონომიკის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერ კომიტეტის სხდომებზე პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებების განხილვის ოქმები; ✓ ინტერვიუს შედეგები, კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

<ul style="list-style-type: none"> ➤ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➤ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო მათი შინაარსი სამაგისტრო საფეხურის სწავლების დონეს. სასწავლო კურსების სილაბუსებში მოცემულია ინფორმაცია კრედიტების მოცულობის, საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების, კურსების მიზნის და შედეგების შესახებ. სასწავლო კურსების შინაარსი ძირითადად შესაბამისობაშია ამ კურსის სწავლის შედეგებთან, თუმცა კარგი იქნება ზოგიერთი კურსი ოპტიმიზაცია, მაგალითად:

- „დანახარჯი-სარგებლის ანალიზი“ ბიზნესის ეკონომიკის კონცენტრაციაში, რომელიც ორნაწილიანია და ჯამურად 10 ECTS შეადგენს, შესაძლებელია 1 სემესტრში, 5 ECTS მოცულობით იქნეს მიწოდებული, იმის გათვალისწინებითაც, რომ სავალდებულო ლიტერატურა მთლიანობაში 537 გვერდს შეადგენს (მ.შ. სასწავლო კურსის ავტორის/ლექტორის სალექციო კურსი 372 გვ.) და ხდება თემატიკის ნაწილობრივი გადაფარვა ისეთ საგნებთან, როგორებიცაა მაგალითად მიკროეკონომიკა, მიკროეკონომიკური მოდელირება, მიკროეკონომიკის თეორია და საჯარო პოლიტიკა, მენეჯერული ეკონომიკა;
- „მიკროეკონომიკური მოდელირება“ შესაძლებელია გაერთიანდეს ბიზნესის ეკონომიკის კონცენტრაციაზე არსებულ სხვა არჩევით კურსთან ან სავალდებულო საგნის შემადგენელ ნაწილად იქნეს მიწოდებული. ძირითადი ლიტერატურა წარმოდგენილია კურსის ავტორის/ლექტორის სალექციო კურსით (140 გვერდი).
- კონცენტრაციაზე „ეკონომიკური აზრის ისტორია“ ასევე შესაძლებელია ისეთი სასწავლო კურსების ოპტიმიზაცია, როგორებიცაა „ეკონომიკური დოქტრინები“, „ეკონომიკის ისტორია“, „ტრანსფორმაციული ეკონომიკა“, „განვითარების ეკონომიკა“.

ზემოთმოყვანილი და სხვა არსებული მაგალითების საფუძველზე სასურველია სამაგისტრო პროგრამაზე პერიოდული შემოწმების ფარგლებში (თვითშეფასების ანგარიშის თანახმად), ყოველწლიურად გადამოწმდეს სასწავლო კურსების შინაარსი და მათი სწავლის შედეგების შესაბამისობის საკითხი პროგრამის სწავლის შედეგებთან.

სწავლის შედეგების მიღწევის და შეფასების საილუსტრაციოდ პროგრამაში წარმოდგენილია მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის, კურიკულუმის და პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების რუკები.

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომების დიდი უმრავლესობა, რომლითაც სწავლის ყველა შედეგის განვითარების მაქსიმალური დონე მიიღწევა, მაღალი ქულებითაა შეფასებული, თუმცა ზოგიერთი მათგანი უფრო აღწერილობით ხასიათის ატარებს, ვიდრე კვლევითს. ამიტომ მნიშვნელოვანია გადაიხედოს სწავლების შედეგების შეფასების კრიტერიუმები, რის საფუძველზე მივიჩნევთ, რომ გადაიხედოს სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი. სილაბუსების გაცნობამ დაადასტურა, რომ იშვიათი გამონაკლისების გარდა მითითებული სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა უზრუნველყოფს სამაგისტრო პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას. ეს ლიტერატურა უმრავლეს შემთხვევებში ახალია და სასწავლო კურსების შინაარსს შესაბამეა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ პროგრამა და პროგრამის სილაბუსები;
- ✓ სავალდებულო და არჩევითი კურსების სილაბუსები
- ✓ ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომები;
- ✓ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- ✓ პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია;
- ✓ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი; აკადემიური/სამეცნიერო/ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები ;
- ✓ ეკონომიკის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერ კომიტეტის სხდომებზე პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებების განხილვის ოქმები;
- ✓ ინტერვიუს შედეგები, კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია სისტემატურად ხდებოდეს სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის განახლება, რათა იგი ასახავდეს დარგის თანამედროვე მიღწევებს და მოიცავდეს უახლეს კვლევებს ამ სფეროში.
- სასურველია სამაგისტრო პროგრამაზე პერიოდული შემოწმების ფარგლებში (თვითშეფასების ანგარიშის თანახმად), ყოველწლიურად გადამოწმდეს სასწავლო

<p>კურსების შინაარსი და მათი სწავლის შედეგების შესაბამისობის საკითხი პროგრამის სწავლის შედეგებთან.</p> <ul style="list-style-type: none"> • სასურველია რეგულარულად ხდებოდეს სასწავლო კურსების გადახედვა/ოპტიმიზაცია სამაგისტრო პროგრამის მიზნებთან და სწავლის შედეგებთან მათი სრული შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. • პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობის სრულად წარმოსაჩენად უმჯობესია კურიკულუმის რუკას დაემატოს სასწავლო კურსები არჩევითი საგნების კომპონენტებიდან.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.4. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება</p>
<p>პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>თსუ-ს ეკონომიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია მაგისტრანტისთვის სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკული უნარების განვითარებაზე. ეკონომიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანში ასახული სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარებას უზრუნველყოფს კვლევითი პროექტი (სავალდებულო - 5 ECTS) და სამაგისტრო ნაშრომი (სავალდებულო - 25 ECTS), ხოლო პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს აყალიბებს პროგრამაში ჩართული პრაქტიკის კომპონენტი (სავალდებულო - 5 ECTS)</p>

და სასწავლო კურსებში ინტეგრირებული პრაქტიკული მეცადინეობები/ სემინარები პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად.

სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა პრაქტიკით უზრუნველყოფა დასტურდება დამსაქმებლებთან გაფორმებული მემორანდუმებით, ასევე, ნიმუშად წარმოდგენილი პრაქტიკის ანგარიშებით და დღიურებით, სადაც მითითებულია პრაქტიკის ხელმძღვანელი, მენტორი, პრაქტიკის ხანგრძლივობა და ა.შ. ამ კონტექსტში ასევე საყურადღებოა თსუ ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის 2019 და 2020 წლის კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგების ანალიზი, რომელმაც დადებით წარმოდგენა შეგვიქმნა პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარების არაპირდაპირ შეფასების თვალსაზრისით. ამავდროულად აღსანიშნავია 2021 წელს განხორციელებული კმაყოფილების კვლევა, სადაც მაგისტრანტების აბსოლუტურმა უმრავლესობამ დააფიქსირა პრაქტიკული მეცადინეობების საათების გაზრდის საჭიროება.

სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარებაზე ასევე ორიენტირებულია სამეცნიერო/კვლევით პროექტებში სტუდენტთა ჩართვა, მათი მონაწილეობა სამეცნიერო კონფერენციებში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით და დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ პროგრამა და პროგრამის სილაბუსები;
- ✓ სავალდებულო და არჩევითი კურსების სილაბუსები
- ✓ ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომების ნიმუშები;
- ✓ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- ✓ შედეგების შეფასების მექანიზმი (შესაბამისობის რუკები);
- ✓ ხელშეკრულებები და მემორანდუმები;
- ✓ პრაქტიკის ანგარიშები;
- ✓ კვლევითი აქტივობები, სტუდენტები. კონფერენცია 2020;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომები (ნიმუშები);

<ul style="list-style-type: none"> ✓ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი; ✓ აკადემიური/სამეცნიერო/ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები; ✓ ინტერვიუს შედეგები, კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან.
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> •
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> •
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>○ გოთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>2.5. სწავლება-სწავლის მეთოდები</p>
<p>პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>თსუ-ს ეკონომიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების სამაგისტრო საფეხურს და კურსის შინაარსს.</p>

ეკონომიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში გაწერილია სწავლა-სწავლების მეთოდები, რომლებიც შესაბამისობაშია თითოეული სასწავლო კურსის მიზანსა და შინაარსთან. სწავლა-სწავლების მეთოდები, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას.

სწავლა-სწავლების მეთოდები მრავალფეროვანია და მოიცავს: ვერბალურ ანუ ზეპირსიტყვიერ, ახსნა-განმარტებით, დემონსტრირების, წერითი მუშაობის, ჯგუფური მუშაობის მეთოდებს, დისკუსია/დებატებს, თანამშრომლობითი სწავლებას, პროექტს/რეფერატს, პრეზენტაციას, გონებრივი იერიშს, შემთხვევის ანალიზს, საექსპერტო შეფასებისა და სხვა მეთოდებს. თითოეული სასწავლო კურსის სწავლა-სწავლების მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში. გამოყენებულია (მაგრამ გამიჯნული არაა) როგორც თეორიული ცოდნის შექმნის, ისე პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებისთვის აუცილებელი მეთოდები და აქტივობები. სასურველია პროგრამაში გაიმიჯნოს სწავლა-სწავლების მეთოდები და აქტივობები, ხოლო სილაბუსებში ცალკე დაემატოს განყოფილება სწავლა-სწავლების მეთოდებისა და აქტივობებისთვის. თუმცა, აღნიშნული არ ახდენს გავლენას სწავლის შედეგების მიღწევებზე. სწავლა-სწავლების მეთოდები აღწერილია პროგრამასა და პროგრამის სასწავლო კურსების და სხვა კომპონენტების სილაბუსებში, მათი შერჩევა კურსის/ კომპონენტის ავტორის ან განმახორციელებლის მიერ ხდება კომპონენტის თავისებურებების გათვალისწინებით. გამოყენებული მეთოდები მრავალფეროვანია და მოიცავს: ვერბალურ, დემონსტრირების, ანალიზის, ინდუქციის და დედუქციის მეთოდებს, დისკუსიას, წერითი მუშაობას, პრეზენტაციას, ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობის მეთოდებს, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლებას, სასწავლო და პროფესიული პრაქტიკას, ასევე ელექტრონული სწავლებას. აღნიშნული მეთოდები ორიენტირებულია სტუდენტზე და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

ბოლო დროინდელი გლობალური COVID-19-თან დაკავშირებული პანდემიის სიტუაციიდან გამომდინარე, უსდ-ს მოუხდა დისტანციური სწავლების რეჟიმზე გადასვლა (ძირითადად ZOOM პლატფორმის გამოყენებით), რამაც საგრძნობლად შეამცირა დისკუსია-დებატების, გონებრივი იერიშის, ჯგუფური მუშაობის და სწავლების სხვა ინტერაქტიური მეთოდების გამოყენების შესაძლებლობა. ამჟამად პროგრამას არ ყავს ინდივიდუალური საჭიროების მქონე ან უცხოელი სტუდენტები, რომელთა არსებობის შემთხვევაში პროგრამა მზადაა შეადგინოს ინდივიდუალური გეგმა და გამოიყენოს არსებულისგან განსხვავებული სწავლა-სწავლების მეთოდები ან აქტივობები.

<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ პროგრამა და პროგრამის სილაბუსები; ✓ სავალდებულო და არჩევითი კურსების სილაბუსები ✓ ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ✓ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი; ✓ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი; აკადემიური/სამეცნიერო/ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები; ✓ თსუ აკადემიური საბჭოს №68-71/2018 დადგენილებები სპეციალური საჭიროებების მქონე სტუდენტთა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შესახებ ✓ ინტერვიუს შედეგები, კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> • სასურველია, პროგრამაში გაიმიჯნოს სწავლა-სწავლების მეთოდები და აქტივობები, ხოლო სილაბუსებში ცალკე დაემატოს განყოფილება აქტივობებისთვის.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თსუ-ს ეკონომიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული კურსის მსვლელობისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ძირითადად ფასდება, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესის შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად. შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს- შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

როგორც სტუდენტებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, ისინი წინასწარ იღებენ ინფორმაციას, შეფასების მეთოდებთან და კრიტერიუმებთან დაკავშირებით, სილაბუსი ატვირთულია მათ პროფილზე, ასევე ლექტორი წინასწარ აცნობს მათ სილაბუსს და შეფასების მეთოდებს. აქვე, თუ რაიმე კითხვა არსებობს სწავლის პერიოდში შეფასებებთან დაკავშირებით, სტუდენტს შეუძლია მიმართოს ლექტორს, თუმცა, როგორც სტუდენტებმა აღნიშნეს, მათ ასეთი გაუგებრობები არ ქონიათ, რაც შეეხება შეფასებებს. ზოგადად, უნივერსიტეტში ამ მხრივ ძალიან მოქნილი სისტემაა, მათ ფაქტიურად იმავე დღეს ან ორი დღის ვადაში ეტვირთებათ ნიშნები უნივერსიტეტის პლატფორმაზე LMS.

სტუდენტის მიღწევებთან და სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია გაწერილია უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების მარეგულირებელ დოკუმენტში, რომელიც განთავსებულია ვებ-გვერდზე, შესაბამისად ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისათვის.

თვითშეფასების ანგარიშში, წარმოდგენილია სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები, შედეგებში, ჩანს, რომ სტუდენტთა უმრავლესობა, ეთანხმება, რომ შეფასების ფორმების და კრიტერიუმების შესახებ ინფორმაცია მათთვის ხელმისაწვდომია, ხოლო სტუდენტთა შეფასების სისტემა ობიექტური და გამჭვირვალე. აღნიშნული დაადასტურეს ინტერვიუზე მყოფმა სტუდენტებმაც. თუმცა მათ აქვთ ინფორმაცია, რომ თუ ნიშანი არ არის სტუდენტისათვის მისაღები, შეუძლიათ პირველად მიმართონ ლექტორს თუ არ დააკმაყოფილებთ ლექტორის ახსნა-განმარტება მათ აქვთ გასაჩივრების საშუალება.

თითოეულ სილაბუსში განმარტებულია შეფასების კრიტერიუმები და მეთოდები, ყველა სილაბუსს აქვს სხვადასხვა შეფასების მეთოდები, აქვე მეტი სიზუსტისათვის არის ჩამოლილი ქულათა განაწილება.

სასწავლო კურსები გარდა კვლევითი პროექტისა ფასდება მრავალჯერადად. კვლევითი პროექტი არის სასწავლო კომპონენტი და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის #3 ბრძანების (ბრძანება #3, 2007 წლის 5 იანვარი) მუხლი 4. სტუდენტის შეფასების მეორე პუნქტის საფუძველზე: დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. ამის საფუძველზე სასწავლო კურსი უნდა შეფასდეს არა ერთჯერადად. პროგრამაში წარმოდგენილი სასწავლო კურსი „კვლევითი პროექტი“ ფასდება ერთჯერადად და მრავალი კომპონენტით. თუმცა ამას არ აქვს არსებითი გავლენა შედეგების მიღწევასა და მის შეფასებაზე.

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის შემუშავებული აქვს სამაგისტრო პროექტი/ნაშრომის წარდგენის, დაცვისა და შეფასების პროცედურა, სადაც ნათლად და თანმიმდევრულად არის აღერილი და გაწერილი. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხდება საჯაროდ, ნაშრომს აფასებს 3-5 კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც ამტკიცებს დეკანი. მაგისტრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს კომისიის წევრი სათათბირო ხმით - ის პრეზენტაციის შეფასებაში არ მონაწილეობს. ნაშრომის საბოლოო შეფასება იწერება კომისიის მიერ. ცალკე წარმოდგენილია სამაგისტრო ნაშრომების შესრულების სილაბუსი, სადაც გაწერილია თუ როგორი უნდა იყოს ნაშრომის სტრუქტურა, შინაარსი და შეფასება.

როგორც ზემოთ არის აღნიშნული, შესრულებული სამაგისტრო ნაშრომები ძირითადად აღწერილობითი ხასიათისაა და მასში ნაკლებადაა წარმოჩენილი, სტუდენტის მიგნებები, ამის მიზეზი შესაძლოა იყოს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები. პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილ სამაგისტრო თემის სილაბუსის თანახმად, სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად: ფორმალური მხარე- 10 ქულა, შინაარსობრივი მხარე, 50 ქულა, პრეზენტაცია, 40 ქულა. შესაბამისად, როგორც ამ კრიტერიუმებიდან ჩანს, არ ფასდება კვლევის/ნაშრომის მეცნიერული სიახლე, კვლევის მეთოდოლოგია მიზნისა და შედეგის კავშირი და ასე შემდეგ. ნაშრომის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით საჭიროა შეიცვალოს ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები.

ყველა სამაგისტრო ნაშრომი მოწმდება პლაგიატზე, Turnitin-ის პროგრამული მხარდაჭერით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ პროგრამა და პროგრამის სილაბუსები;
- ✓ სავალდებულო და არჩევითი კურსების სილაბუსები
- ✓ ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ✓ სამაგისტრო დისერტაციის ნიმუშები;
- ✓ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- ✓ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
აკადემიური/სამეცნიერო/ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონალის,
სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები;
- ✓ თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის წარდგენის,
დაცვისა და შეფასების პროცედურა, სადაც ნათლად და თანმიმდევრულად არის
აღერილი და გაწერილი.
- ✓ ინტერვიუს შედეგები, კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან
ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან.

რეკომენდაციები:

- ✓ გამომდინარე იქედან რომ კვლევითი პროექტი არის სასწავლო კურსი, უნდა შეიცვალოს მისი შეფასების სისტემა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის #3 ბრძანების (ბრძანება #3, 2007 წლის 5 იანვარი) შესაბამისად.
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით არსებითად უნდა შეცვალოს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები, მასში გარდა ფორმალური და შინაარსობრივი მხარის და პრეზენტაციის კომპონენტებისა, წარმოდგენილი უნდა იყოს კვლევის მეთოდოლოგიის რელევანტურობისა და მეცნიერული სიახლის კომპონენტები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადეკვატურ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თსუ-ს ეკონომიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მაგისტრანტები და კურსდამთავრებულები კმაყოფილები არიან სტუდენტთა მომსახურებით. სტუდენტები მუდმივად, უწყვეტ რეჟიმში იღებენ ინფორმაციას და კონსულტაციებს სასწავლო პროცესის

დაგეგმვის შესახებ პროგრამის ხელმძღვანელებისგან, თსუ ადმინისტრაციული ერთეულებისგან, ფაკულტეტის ადმინისტრაციისა და ცალკეული ლექტორისგან. ეს ინფორმაცია დაადასტურეს ინტერვიუზე მყოფმა სტუდენტებმაც.

თსუ-ს ყველა სტუდენტს აქვთ წვდომა უნივერსიტეტის ვებ-გვერდთან სადაც ყველა ინფორმაცია არის განთავსებული სტუდენტის სწავლასთან და სხვა აქტივობებთან დაკავშირებით.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე, ფუნქციონირებს სასწავლო პროცესების მართვის ელექტრონული სისტემა, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტს პირადი პროფილის მეშვეობით შეადგინონ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, მიიღონ და გაეცნონ მათ მიერ გავლილ სასწავლო კურსებში მიღებულ შეფასებებს, მიიღონ სასწავლო პროცესებთან დაკავშირებით აქტუალური ინფორმაცია და სხვა.

სტუდენტსა და ლექტორს აქვთ საკმაოდ კარგი უკუკავშირი. სტუდენტი აფასებს ლექტორს, შემდგომ ეს შეჯამებული შეფასებები ეგზავნებათ ლექტორებს ამ შეფასებების მიხედვით ცვლიან სილაბუსს ან საგნის გარკვეულ მიმართულებას. სტუდენტს აქვს საშუალება ლექტორისაგან მიიღოს დამატებითი კონსულტაციები, რასაც, როგორც სტუდენტებმა აღნიშნეს, ამის პრობლემა მათ არ ქონიათ და ნებისმიერ თემასთან დაკავშირებით რაც სასწავლო კურსებს ეხებოდა შეეძლოთ ლექტორისაგან მიეღოთ დამატებითი კონსულტაციები. ამას ადასტურებს დადგენილება დადგენილება N: 112/2013, სადაც მოცემულია ინფორმაცია აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ.

პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში, მოცემულია სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები, სადაც ჩანს თუ რომელი საინფორმაციო წყაროებიდან იღებენ სტუდენტები ინფორმაციას. ნათლად ჩანს, რომ სტუდენტები უმეტეს ინფორმაციას იღებენ ვებ-გვერდიდან, ასევე ელექტრონული ფოსტისა და LMS ანგარიშის დახმარებით.

ფაკულტეტმა COVID-19-თან დაკავშირებული მდგომარეობიდან გამომდინარე, შეიმუშავა სწრაფად ადაპტირებადი ელექტრონული სწავლების პორტალი, სადაც კათედრების შესაბამისად განთავსებულია სასწავლო კურსები, შუალედური და დასკვნითი გამოცდების დისტანციურად ჩატარების წესები. სტუდენტებისათვის ხელი არ შეუშლია ონლაინ სწავლებას, როგორც მათ თქვეს უნივერსიტეტმა ძალიან მალე დაძლია ყველა გამოწვევა, რაც ელექტრონულ სწავლებას ახლავს თან.

სტუდენტებს მუდმივ რეჟიმში მიეწოდებათ ინფორმაცია დაგეგმილი ღონისძიებების, გამოცხადებული საგრანტო კონკურსების, სასტიპენდიო და გაცვლითი პროგრამების

შესახებ. მათ ეწევათ კონსულტაცია, ასევე, საგრანტო და სასტიპენდიო კონკურსების განაცხადების შევსებასთან დაკავშირებით. ამ კუთხით სტუდენტებისთვის, ასევე აკადემიური პერსონალისთვის კონსულტაციების გაწევის მიზნით ფაკულტეტზე სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის თანამშრომლები სხვა ფუნქციებთან ერთად ასრულებენ გრანტის ძიებისა და ინფორმაციის გავრცელების ფუნქციამოვალეობასაც.

ზემოთ აღნიშნული დაადასტურეს, როგორც სტუდენტებმა, ასევე ლექტორებმაც, უნივერსიტეტი ხშირად სთავაზობს სტუდენტებს საერთაშორისო პროგრამებს. ექსპერტები შევხვდით კურსდამთავრებულებსაც, სადაც ერთ-ერთმა აღნიშნა, რომ ერასმუსის პროგრამით იყო წასული სასწავლებლად, ასევე მონაწილეობდა კონფერენციებში. სტუდენტები საერთაშორისო პროგრამების სიმწირეს, ან არაინფორმირებულობას არ უჩივიან, თვლიან, რომ საკმაოდ მრავალფეროვან პროექტებსა და პროგრამებს სთავაზობს უნივერსიტეტი, ამ შემთხვევაში ჩანდა უფრო სტუდენტების ნაკლებად ჩართულობა იმ აქტივობებში რასაც უნივერსიტეტი მათ სთავაზობს.

სამაგისტრო ნაშრომის არჩევა ხდება სამაგისტრო თემების ბაზიდან, რომელსაც აახლებს ფაკულტეტი, თუმცა შესაძლოა თვითონ სტუდენტმაც შესთავაზოს, რაც შემდგომ უკვე განხილული იქნება მიმართულების ხელმძღვანელებთან ერთად.

სტუდენტები ყოველწლიურად იღებენ მონაწილეობას საუნივერსიტეტო გამოკითხვებში. ისინი აფასებენ, როგორც ლექტორებს ისე, სასწავლო პროგრამასა და პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ აქტივობებს.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, უზრუნველყოფს პერსონალის საკონსულტაციო საათების განრიგის შედგენას, გამოქვეყნებასა და სტუდენტების ინფორმირებას, ინფორმაცია განთავსებულია კათედრების/დეპარტამენტების სტენდზე და ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისთვის. სტუდენტებმა ასევე, დაადასტურეს ეს ინფორმაცია და აღნიშნეს, რომ თუ მათ სჭირდებათ დამატებითი კონსულტაცია, ლექტორი ყოველთვის მზად არის ამისათვის. მაგისტრანტებმა ზოგადად დადებითად შეაფასეს პროგრამა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით და დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადასტურდა, რომ სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ პროგრამა და პროგრამის სილაბუსები;
- ✓ სავალდებულო და არჩევითი კურსების სილაბუსები
- ✓ ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ✓ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- ✓ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
აკადემიური/სამეცნიერო/ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონალის,
სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები;
- ✓ ინტერვიუს შედეგები, კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან
ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თსუ-ს ეკონომიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას მაგისტრანტებს ყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელები, რომელიც დასტურდება აკადემიური პერსონალის მონაცემებით და მათი მიღწევებით. ასევე, მაგისტრანტების შეფასებებით,

ფაკულტეტის წარმომადგენლები, მეცნიერ ხელმძღვანელები, პროგრამის განმახორციელებლები, საკმაოდ კარგად არის წარმოჩენილი მაგისტრატურის თემის ხელმძღვანელის პასუხისმგებლობა პროგრამაში. თითოეული ხელმძღვანელი, რომელსაც შეხვდით, არიან დარგის ექსპერტები და პროფესიონალები. ამის შესახებ კურსდამთავრებულებმა საკმაოდ ამომწურავი ინფორმაცია მოგვაწოდეს და გამოყოფდნენ ხელმძღვანელებს, რომლებმაც, მათი სამაგისტრო პროგრამაზე სწავლების პროცესში დიდი როლი ითამაშეს, რომ სტუდენტებს შეძლებოდათ პროფესიონალურ დონეზე დაეწერათ სამაგისტრო ნაშრომები. ნაშრომის თემას სტუდენტი ირჩევს სამეცნიერო ხელმძღვანელთან შეთანხმებით. სამაგისტრო ნაშრომს შესაძლებელია ჰყავდეს თანახელმძღვანელი. სამაგისტრო ნაშრომის რეცენზირებისთვის სამაგისტრო პროგრამა გამოყოფს, სულ მცირე, ერთ რეცენზენტს.

რეცენზენტი შეიძლება იყოს თსუ-ს აკადემიური პერსონალი, ემერიტუსი და თსუ-ს დოქტორანტი. სტუდენტისა და ხელმძღვანელის შეხვედრები ხორციელდება დაგეგმილად, თუმცა, როდესაც სტუდენტის აქტიურად უწყებს თემის წერა, უკვე ინტენსიურად თანამშრომლობენ თემის ხელმძღვანელებთან. თითო პროფესორს ყავს მაქსიმუმ 5 მაგისტრანტი, წინასწარი სამაგისტრო თემის დაცვა ხდება კათედრაზე. თემასთან დაკავშირებით ხელმძღვანელი წერს რეცენზიას. პროგრამის ფარგლებში გავეცანით მაგისტრატურის თემის სილაბუსს, სადაც ნათლად არის ჩამოყალიბებული თემის წერის მიზნები და შედეგები. რა შედეგზე უნდა გავიდეს სტუდენტი და თუ რას მისცემს შემდგომ სტუდენტს თემაზე მუშაობა. თემა მოწმდება პლაგიატზე.

საგანგებო მდგომარეობიდან გამომდინარე, ისინი ონლაინ რეჟიმში ძირითადად მეილით ეკონტაქტებიან ერთმანეთს.

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის შემუშავებული აქვს სამაგისტრო პროექტი/ნაშრომის წარდგენის, დაცვისა და შეფასების პროცედურა, სადაც ნათლად და თანმიმდევრულად არის აღწერილი და გაწერილი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობებისა და ხელმძღვანელობის პროცესი, ამასთანავე ფორმდება ამ პროცესის ამსახველი დოკუმენტები.

<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტის ეკონომიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პერსონალი დაკომპლექტებულია ძალიან გამოცდილი აკადემიური მეცნიერებით, რომელთა კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან. აკადემიური პერსონალის აბსოლუტური უმეტესობა ფლობს აკადემიურ ხარისხს.

პროგრამას ჰყავს 9 გამოცდილი ხელმძღვანელი და კოორდინატორი. პროგრამას საერთო ჯამში ემსახურება 88 აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომლიდანაც 49 აკადემიური პერსონალია და ყველა აფილირებულია. მათ შორისაა, 13 პროფესორი, 30 ასოცირებული პროფესორი და 5 ასისტენტ პროფესორი. აკადემიურ პერსონალს აქვს პროგრამის კომპეტენციებთან შესაბამისი კვალიფიკაცია, კვლევებისა და სწავლების სათანადო გამოცდილება, აკადემიურ პერსონალს აქვს პროგრამის კომპეტენციებთან შესაბამისი კვალიფიკაცია, კვლევებისა და სწავლების სათანადო გამოცდილება, გამოქვეყნებული აქვთ სამეცნიერო ნაშრომები მაღალრეიტინგულ ჟურნალებში.

აკადემიური პერსონალი შერჩეულია კონკურსის წესით, რომელიც იმართება კანონმდებლობით გათვალისწინებული რეგულაციებითა და თსუ-ში არსებული რეგულაციებით, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის დადგენილება N118/2014 სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ: https://www.tsu.ge/ge/juridical-/axad_council_resolutions/2014/1182014k/.

პროგრამის აკრედიტაციის დოკუმენტაციაში წარმოდგენილია აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის კვალიფიკაციის დამდასტურებელი საბუთები. ამასთანავე აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო ნაშრომების (მონოგრაფია, სახელმძღვანელო, რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი და სხვა; სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტი) და/ან პრაქტიკული პროექტი, რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში მათ კომპეტენტურობას. ეკონომიკის დარგის სპეციფიკიდან და განვითარებიდან გამომდინარე, თითოეული კურსის ლექტორი და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი არის უახლესი ცოდნის მქონე, ისინი აქტიურად მონაწილეობენ სამეცნიერო კვლევებში.

აღსანიშნავია, რომ პროგრამაში გამოცდილ ღვაწლმოსილ მეცნიერ-პედაგოგებთან ერთად ჩართულია ახალგაზრდა მეცნიერები, რომელიც პროგრამის მუდმივ განვითარებას და მდგრადობას უწყობს ხელს.

პროგრამას ხელმძღვანელები რომლებიც არიან დარგში მოწინავე მეცნიერები, აქვთ პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, მითი კვალიფიკაცია დასტურდება ეკონომიკაში შესაბამისი განათლებით და სამეცნიერო ნაშრომებით. ცალკე აღსანიშნავია, რომ რადგან პროგრამას ყავს 9 ხელმძღვანელი და არის 11 კონცენტრაცია, პროგრამას ასევე ყავს კოორდინატორი, რომელიც კოორდინაციას უწევს პროგრამის მიმდინარეობას და უზრუნველყოფს მის ეფექტურ მართვას.

პროგრამის ხელმძღვანელები მუდმივად ზრუნავენ პროგრამის განვითარებაზე, ჩართულები არიან პროგრამის შეფასება-განვითარებაში, ახდენენ სტუდენტების კონსულტირებას, გეგმავენ და ორგანიზებას უწევენ პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებს.

უსდ-ში ასევე, განსაზღვრულია მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა, რომელიც რეგულირდება სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ , თსუ-ის აკადემიური საბჭოს დადგენილებით №122/2014, 29 დეკემბერი.

თსუ-ს განსაზღვრული აქვს აფილირებას წესი და გაწერილი აქვს დეტალური პირობები, რომელიც მოქმედებს აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) მიმართ.

პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების ხელშეწყობით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობით. პროგრამას

ემსახურება 60 ადმინისტრაციული და დამხმარე ადმინისტრაციული პერსონალი, რომელთა კვალიფიკაცია და კომპეტენცია შეესაბამება მათ მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. რადგან მაგისტრატურის სასწავლო პროცესი ძირითადად მესამე ცვლაში მიმდინარეობს და სერვისების მიწოდება მორგებულია სტუდენტის ინტერესებზე, რათა მათ შესაძლებლობა ჰქონდეთ მუშაობა შეუსაბამონ სწავლის პროცესს. შესაბამისად, ფაკულტეტის ადმინისტრაცია უფროსი სპეციალისტისა და ბიბლიოთეკის მუშაობის განრიგს უთავსებს მათ სასწავლო ცხრილს. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ მიერ განსახორციელებელ ფუნქციებს.

ამჟამად ხელმძღვანელებსა და მაგისტრანტებს შორის თანაფარდობა არის 45:163, რაც იძლევა პროპორციას 1:3.62, რომელიც მისაღები მჩვენებელია.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით და დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადასტურდა, რომ პროგრამის ადამიანური რესურსი სრულად შესაბამისობაშია პროგრამის მაღალ დონეზე განხორციელების საჭიროებებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ პროგრამა და პროგრამის სილაბუსები;
- ✓ სავალდებულო და არჩევითი კურსების სილაბუსები
- ✓ ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ✓ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- ✓ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი; აკადემიური/სამეცნიერო/ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები;
- ✓ თსუ-ს მაგისტრანტის მინამალური სტანდარტი;
- ✓ პერსონალის CV-ები
